გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის **ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის** სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ასარჩევად კონკურსის გამოცხადების შესახებ

1. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის **სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს**, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დებულების შესაბამისად, ღია კონკურსის საფუძველზე ირჩევს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს ინსტიტუტის დირექტორი.

2. ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელად შეიძლება აირჩეს პირი, რომელიც აკმაყოფილებს ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლისთვის ან უფროსი მეცნიერი თანამშრომლისთვის დადგენილ მოთხოვნებს, რაც გათვალისწინებულია თსუ აკადემიური საბჭოს 2017 წლის 31 მაისის N63/2017 დადგენილებით მიღებული და წარმომადგენლობითი საბჭოს 2017 წლის 23 ივნისის N3 სხდომის ოქმით დამტკიცებული ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესი“-თ და სამეცნიერო თანამდებობის დაკავების დამატებითი პირობების მე-2 მუხლითა და ,,საკონკურსო თანამდებობებისათვის განსაზღვრული კრიტერიუმები ინსტიტუტების და სამეცნიერო თანამდებობების მიხედვით“ მე-3 მუხლით.

3. კონკურსი ცხადდება შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობათა დასაკავებლად:

ა). ფიზიკური გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი - ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული, 10 წლის ვადით), უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული, 7 წლის ვადით) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება).

ბ). საზოგადოებრივი გეოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის (1 საშტატო ერთეული, 7 წლის ვადით) დადგენილი მოთხოვნების დაკმაყოფილება).

4. კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს:

უფროსი მეცნიერი თანამშრომლისათვის დადგენილ ძირითად მოთხოვნებს, რაც მდგომარეობს შემდეგში:

ა) მთავარი მეცნიერი თანამშრომელი (ვადიანი) - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არანაკლებ 6 წლის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც), ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ან გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 3 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

ბ) უფროსი მეცნიერი თანამშრომელი - დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილება (რაც გულისხმობს არამხოლოდ სამეცნიერო-კვლევით, უმაღლეს საგანმანათლებლო ან სხვა პროფილურ დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე მუშაობას, არამედ გამოქვეყნებულ სამეცნიერო პუბლიკაციებსაც) და უნდა ჰქონდეს გამოქვეყნებული ან

გამოსაქვეყნებლად მიღებული სამეცნიერო პუბლიკაციები, მათ შორის არანაკლებ 2 რეიტინგული სამეცნიერო პუბლიკაცია მაინც სამეცნიერო-კვლევითი პროდუქციის კლასიფიკაციის მიხედვით.

გ) კანდიდატს უნდა ჰქონდეს სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის (მენეჯმენტის) გამოცდილება: ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მუშაობის, საერთაშორისო/ადგილობრივი სამეცნიერო ფორუმების საორგანიზაციო/სამეცნიერო კომიტეტებში მუშაობის ან სამეცნიერო პროექტებში მენეჯერად/კოორდინატორად მუშაობის გამოცდილება.

5. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება

5.1. გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მსურველი ვალდებულია განსაზღვრული პირობებისა და ვადების დაცვით წარუდგინოს შესაბამის საკონკურსო კომისიას შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) განცხადება ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სახელზე. განცხადებაში მითითებული უნდა იყოს დაინტერესებული პირის ვინაობა, საცხოვრებელი ადგილის მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ. ფოსტის მისამართი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV), სამეცნიერო პუბლიკაციების ნუსხითურთ, შედგენილი კონკურსან-ტისათვის მისაღები ფორმით მისი მოღვაწეობის სრულად ასასახავად (ავტობიოგრაფია წარმოდგენილი უნდა იყოს როგორც ნაბეჭდი, ისე ელექტრონული (CD) სახით, ფაილის ფორმატი – Word და PDF ფაილების სახით);

გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის სურათიანი გვერდის ასლი;

დ) შესაბამისი აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის (დოკუმენტების) ასლი, უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების ან/და სამეცნიერო ხარისხის აღიარების კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ასლი;

ე) სამსახურეობრივი გამოცდილების ამსახველი კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული დოკუმენტი (ცნობა/შრომის წიგნაკის ასლი/სხვ.);

ვ) სამეცნიერო-ორგანიზაციული მუშაობის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

ზ) განყოფილების მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დებულების პროექტი, სადაც მოცემული იქნება თსუ ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დებულებიდან გამომდინარე განყოფილების წინაშე მდგარი ამოცანების გადაჭრისა და ფუნქციების შესრულების მისეული ხედვა.

თ) ცნობა ნასამართლეობის შესახებ ("უმაღლესი განათლების შესახებ" 32 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში არ შეიძლება დასაქმდეს ,,სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა ბრძოლის შესახებ'' საქართველოს კანონით გათვალისწინებული სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლევი პირი ან/და პირი, რომელსაც იმავე კანონის საფუძველზე სასამართლომ ჩამოართავა საგანმანათლებლო დაწესებულებაში საქმიანობის უფლება).

5.2. კონკურსში მონაწილეობის შესახებ ვადის დარღვევით (განცხადებების მიღების ვადის გასვლის შემდგომ) წარდგენილი განცხადება (დოკუმენტაცია) მიღებასა და რეგისტრაციას არ ექვემდებარება.

6. **კონკურსი გამოცხადდეს 2022 წლის 25 ივლისს. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწარმოებს 2022 წლის 2 აგვისტოდან 2022 წლის 5 აგვისტოს ჩათვლით, 11:00-დან 16:00 საათამდე, ინსტიტუტის შენობაში, თბილისი, თამარაშვილის ქ. №6, ოთახი №10**

სამეცნიერო საბჭოს სხდომის შემაჯამებელი ოქმი თსუ აკადემიურ საბჭოს გადაეცეს არაუგვიანეს 2022 წლის 1 სექტემბრისა.

7. სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის თანამდებობაზე არჩეული პირი ითვლება არჩეულად უფროსი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში 7 წლის ვადით, ხოლო ვადიანი მთავარი მეცნიერი თანამშრომლის ძირითადი და დამატებითი მოთხოვნების დაკმაყოფილების შემთხვევაში 10 წლის ვადით.

8. კონკურსი გამოცხადებულია თსუ წესდების 23[2] მუხლით დადგენილი წესით დამოუკიდებელი სამეცნიერო ერთეულის - ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნის მიზნისათვის და მისი შედეგები ძალაში შედის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის კანონმდებლობით დადგენილი წესით შექმნისთანავე.